ხელშეკრულება № 196/15

(საკუთარი სახსრებით)

ქ. თბილისი 3 სექტემბერი 2015 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს¹" ქვეპუნქტისა და 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის #9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ (შემდგომში აბონენტი) შპს „საქართველოს მელიორაცია" (მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6) მისი გენერალური დირექტორის ლევან დვალის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში „გამომცემლობა") შპს გაზეთი „საქართველოს დემოგრაფია", მისი დირექტორი ანზორ თოთაძის სახით (იურ. მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ლ.პასტელის ქ, №5) სახით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. აბონენტის საჭიროებისათვის გაზეთის გამოწერის მომსახურების (79980000) შესყიდვა.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით, გამომცემლობა ვალდებულებას იღებს, თვეში ერთხელ გამოსცეს და აბონენტს მიაწოდოს პერიოდული გამოცემა, გაზეთი „საქართველოს დემოგრაფია" (შემდგომში-გაზეთი), ხოლო აბონენტი ვალდებულებას იღებს, განაცხადის შესაბამისად (დანართი №1) მიიღოს გაზეთის ეგზემპლარები და გადაიხადოს შესაბამისი ღირებულება;

1.3. აბონენტისათვის გაზეთის ყოველი ნომრის მიწოდება განხორციელდება 2015 წლის სექტემბრიდან 2015 წელის 31 დეკემბრის ჩათვლით, გამომცემლობის მიერ დანართი №1-ში მითითებულ მისამართზე, გაზეთის მიმდინარე ნომრის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 გამომცემლობა ვალდებულია უზრუნველყოს აბონენტისათვის 2.1.1 პუნქტის თანახმად გამოწერილი გაზეთის შესაბამისი ნომრების გამოცემა და მიწოდება, 1-ლი მუხლის პირობების საფუძველზე; ამასთან, გამომცემლობა ვალდებულია ყოველ ნომერში, საინფორმაციო გვერდზე განათავსოს აბონენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

2.2 აბონენტი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს გამომცემელს გამოწერილი გაზეთის შესაბამისი ნომრების ღირებულება, ამ ხელშეკრულების პირობების საფუძველზე;

3. მხარეთა პასუხისმგებლობები

3.1 გაზეთის გამოცემის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, გამომცემლობა უბრუნებს აბონენტს გამოწერილი გაზეთის ნომრების ღირებულებას (მოცემული მომენტისათვის უკვე მიწოდებული გაზეთის ნომრების ღერებულების გამოკლებით), გაზეთის გამოცემის შეწყვეტის შესახებ აბონენტისათვის წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით შეტყობინების გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

3.2 მხარეები პასუხს არ აგებენ შეუსრულებელი ვალდებულებებისთვის ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისა თუ მათი მიმდინარეობის პერიოდში.

3.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ მხარემ პირველივე შესაძლებლობისთანავე უნდა აცნობოს მეორე მხარეს წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით, ასეთი გარემოებების წარმოშობის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

4. ანგარიშსწორების წესი და პირობები

4.1 გაზეთის გამოწერა ხორციელდება განაცხადში (დანართი №1) მოცემული, გამომცემლის მიერ შემუშავებული სატარიფო გეგმის შესაბამისად;

4.2 აბონენტის მიერ, ამ ხელშეკრულებით პირობებით შეთანხმებული გაზეთის ნომრების გამოწერისთვის, ღირებულების გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, წინასწარი გადახდის წესით, ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა;

4.3 აბონენტის მიერ დათქმულ ვადაში ანგარიშსწორების განუხორციელებლობის შემთხვევაში, გამომცემელი იტოვებს უფლებას, უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5. დავათა გადაჭრის წესი:

5.1 თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოიშვა უთანხმოებანი, მხარეები ყოველ ღონეს მიმართავენ, რათა საკითხი გადაწყდეს მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართავენ საერთო სასამართლო(ებ)ს.

6. დასკვნითი დებულებები

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 31.01.2016 წლამდე

6.2 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

6.3 ხელშეკრულების ყველა დანართი, მიღება-ჩაბარების აქტი, დამატება ან/და ცვლილება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, დგება წერილობითი ფორმით და დასტურდება მონაწილე მხარეთა მიერ ხელმოწერით.

6.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, რომელიც დაერთვის ამ ხელშეკრულებას, წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და გააჩნია იგივე იურიდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას;

6.5 ხელშეკრულება შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, თითოეული-ყოველი მხარისთვის.

„გამომცემლობა“	**„აბონენტი „**
შპს გაზეთი "საქართველოს დემოგრაფია“	**შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია“**
საიდენტ. კოდი: 404492269	საიდენტიფიკაციო კოდი 204524568
მისამართი: ქ. თბილისი, პასტერის ქ. 5	მისამართი ქ. თბილისი,
ბანკი: სს "თიბისი ბანკი"	მარშალ გელოვანის გამზ. N6
საბანკო კოდი: TBCBGE22	ს/ს საქართველოს ბანკი
ა/ანგარიში: GE25TB7823136080100005	ბანკის კოდი: BAGAGE22
ელ-ფოსტა: saqartvelos.demografia@gmail.com	ა/ა: GE58BG0000000182323100
მობ: 599-40-91-15	
------------------------	------------------------
ანზორ თოთაძე	**გენარალური დირექტორი**
დირექტორი	**ლევან დვალი**

გაზეთი „საქართველოს დემოგრაფია“-ს გამოწერის თაობაზე,
„3“ სექტემბრის “ 2015 წელის №196/15 ხელშეკრულების
დანართი № 1

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

გაზეთი „საქართველოს დემოგრაფია“-ს

გამოწერის და მიწოდების თაობაზე

1. პერიოდული გამოცემა:

დასახელება	გამოწერის პერიოდი	ნომრების რაოდ. თვეში	ნომრის ფასი (ლარი)	რაოდ. სულ	სულ ღირებულება
გაზეთი „საქართველოს დემოგრაფია“	სექტემბერი - დეკემბერი 2015 წელი	50	2	250	**500**

1. **ინფორმაცია გამომწერის შესახებ:**

1.1. საკონტაქტო პირის სახელი, გვარი
საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი - თამთა თალაკვაძე

1.2. გაზეთის მიწოდების ადგილის მისამართი
ქ, თბილისი , მარშალ გელოვანის გამზ. N6

1.3. საკონტაქტო პირის ელ-ფოტის მისამართი tamtatalakvadze@yahoo.com

1.4. საკონტაქტო პირის ტელეფონის (მობილურის) ნომერი
T 599912233

„გამომცემლობა“
შპს გაზეთი "საქართველოს დემოგრაფია“
საიდენტ. კოდი: 404492269
მისამართი: ქ. თბილისი, პასტერის ქ. 5
ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
საბანკო კოდი: TBCBGE22
ა/ანგარიში: GE25TB7823136080100005
ელ-ფოსტა: sagartvelos.demografia@gmail.com
ტელ: 599-40-91-15

ანზორ თოთაძე
დირექტორი

„აბონენტი „
შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია”
საიდენტიფიკაციო კოდი 204524568
მისამართი ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის
გამზ. N6
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE58BG0000000182323100

გენარალური დირექტორი
ლევან დვალი